

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №203
2016 წლის 26 აგვისტო

ქ. თბილისი

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:
მუხლი 1

„საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით (ვებგვერდი, 17.07.2012 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190040000.22.033.016392) დამტკიცებულ „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)“-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „კარი IV“-ის „ჯგუფი 16“-ის 1605 სასაქონლო პოზიცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1605	მზა ან დაკონსერვებული კიბოსებრნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები:	
1605 10 000 00	— კიბორჩხალები	—
	— კრევეტები და ხერხისებრი კრევეტები:	
1605 21 000 00	— — ჰერმეტულ საფუთავებში	—
1605 29	— — დანარჩენი:	
1605 29 100 00	— — — პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2 კგ-ისა	—
1605 29 900 00	— — — დანარჩენი	—
1605 30	— ასთაკვები:	
1605 30 100 00	— — ასთაკვების ხორცი, თხურად დამუშავებული, ასთაკვების ზეთისა ან პაშტეტის, პასტის, წვნიანებისა ან საწებლების დასამზადებლად	—
1605 30 900 00	— — დანარჩენი	—
1605 40 000 00	— კიბოსებრნი დანარჩენი	—
	— მოლუსკები:	
1605 51 000 00	— — ხამანწკები	—
1605 52 000 00	— — სავარცხელა, სამეფო სავარცხელას ჩათვლით Pecten, Chlamys ან Placopecten გვარების	—
1605 53	— — მიდიები (<i>Mytilus</i> spp., <i>Perna</i> spp.):	
1605 53 100 00	— — — ჰერმეტულ საფუთავებში	—
1605 53 900 00	— — — დანარჩენი	—



1605 54 000 00	— კალმარები და მელანთევზები	—
1605 55 000 00	— რვაფეხები	—
1605 56 000 00	— ორსადგულიანები	—
1605 57 000 00	— „ზღვის ყური“ ჰალიოტისი	—
1605 58 000 00	— ზღვის ლოკოკინები	—
1605 59 000 00	— დანარჩენი	—
	- წყლის სხვა უხერხემლოები:	
1605 61 000 00	— გოლოთურიები	—
1605 62 000 00	— ზღვის ზღარბები	—
1605 63 000 00	— მეღუზები	—
1605 69 000 00	— დანარჩენი	—

2. „კარი XXII“-ის „ჯგუფი 99“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯგუფი 99

საქონელი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის

შენიშვნა:

- ამ ჯგუფში საქონელი ჩაირთვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისთვის.
- 9905 00 000 01 ქვესუბპოზიციაში ჩაირთვება იმპორტისა და ექსპორტის გადასახდელებისაგან გათავისუფლებული საქონელი.
- 9905 00 000 02 ქვესუბპოზიციაში ჩაირთვება საქონელი, რომელიც არ იბეგრება იმპორტის გადასახადით, აქციზითა და ექსპორტის გადასახდელებით და არ ექვემდებარება არასატარიფო ღონისძიებებს.
- ამ ჯგუფში არ ჩაირთვება 87-ე ჯგუფის ავტოსატრანსპორტო საშუალებები.

სეს ესნ კოდი	პოზიციის დასახელება	დამატებითი ზომის ერთეული
9905	საქონელი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის	
9905 00 000 01	— უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის ან/და ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის შემოტანილი ან გატანილი საქონელი; არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დროებით (სამსახურებრივი მივლინებით ან შრომითი ხელშეკრულებით) შემოსვლისას შემოტანილი, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი; უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი 15 000 ლარის ღირებულების საქონელი; საზღვარგარეთ	—



	საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირის მიერ შემოტანილი პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი; საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი ფიზიკური პირის საქონელი	
--	--	--

9905 00 000 02	— ფიზიკური პირის პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი	— “.
----------------	---	------

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

